

ოქმი N17

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის2017 წელი, 18 სექტემბერი
ქ. ოზურგეთი, 15⁰⁰სთ.**ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,
კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ.თოიძე, მ.მახაროზიძე,
ფრაქციის თავმჯდომარეები:კ. კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე, თ. ნადირიძე.

არ ესწრებოდნენ: ნ.ტაბატაძე, თ. სალუქვაძე, ლ. ბიგვავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნ. გოგუაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ნაგავმზიდი ავტომობილის **Mercedes-Benz** (რეგისტრაციის ნომერი **SS-594-FF** გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 20.06.2017წ.) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომის ჩატარება გადაწყდა 2017 წლის 19 სექტემბერს 15⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა